სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

SPATIAL AND URBAN DEVELOPMENT AGENCY

KARR0156537999823

ფაქტობრივი მისამართი: 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154
154 David Aghmashenebeli Avenue, 0112, Tbilisi, Georgia.

№ 04/591

21 / აგვისტო / 2023 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს

მიმდინარე წლის 07 აგვისტოს (შემოსული დოკუმენტი 618/12) წერილით, აზიის განვითარების ფონდმა სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს საჩუქრად გადასცა ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც მომზადებულია შპს „ბაუ დიზაინი“-ს მიერ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-20 მუხლის შესაბამისად ხადის ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის მომზადება ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად დამგეგმავი ორგანო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს სკოპინგის განცხადებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 25-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ ხადის ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშს, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით. ხადის ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პირველი ეტაპის მასალის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან:

https://drive.google.com/drive/folders/1PiU2Z6VFVKTff8QDO9nGk0akTEqvpa0z?usp=drive_link

ბმულზე განთავსებული მასალა:

1.კვლევის ტექსტური ნაწილი;

2. კვლევის გრაფიკული ნაწილი;

3 .ხედვა და განვითარების სტრატეგია;

4. კონცეფცია;

5. სიცოცხლისუნარიანობის შეფასება;

6. სკოპინგის ანგარიში;

7. ელექტრონული დანართები და ბაზები;

დანართი: 1 ბაინდერი, 3 ალბომი, 1 ელექტრონული დისკი, 2 გვერდი

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბი წიკლაური